

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიოლოგიის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი: აქედან 116 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს ეთმობა, 15 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს თავისუფალი არჩევითი კურსებია, 49 კრედიტი კი - სავალდებულო თავისუფალი კომპონენტები, 60 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტები/ დამატებითი პროგრამა/დამატებითი პროგრამები. (1 კრედიტის მოცულობა – 25 საათი)
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ცოცხალის ყველა ფორმისა და გამოვლინების, ცოცხალის თვისობრივი თავისებურებების, სასიცოცხლო პროცესების რეგულაციისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა. ცოცხალი სისტემების სტრუქტურული და ფუნქციური თავისებურებების შესწავლა ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებათა შესწავლა, ცოცხალი სისტემების თვითმარეგულირებელ მექანიზმებში გარკვევა, ცოცხალში მიმდინარე ძირითადი ბიოქიმიური პროცესებში წვდომა, მედიცინის ბიოლოგიური საფუძვლების შესწავლა, ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა შეცნობა, კულტურულ მცენარეთა და შინაურ ცხოველთა ახალი ჯიშების შექმნისათვის თეორიული საფუძვლების შესწავლა, ბუნების ეთიკურ- ესთეტიკურ და პრაქტიკულ ღირებულებათა შეცნობა, ცოცხალი სამყაროს ბიომრავალფეროვნების დაცვა-კონსერვაციისა და ადამიანის ინტერესებისათვის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობებით აღჭურვა.
სწავლის შედეგები	კურსდამთავრებულს ექნება ფართო ცოდნა ბიოლოგიის ტრადიციულ დარგებში (ბოტანიკა, ზოოლოგია, ციტოლოგია, მოლეკულური ბიოლოგია, ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია, გენეტიკა, ბიოფიზიკა, ბიოტექნოლოგია, ადამიანის ანატომია, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია) სხვადასხვა (მოლეკულურ, უჯრედულ, ქსოვილურ, ორგანიზმულ, პოპულაციურ, ბიოგეოცენოლოგიურ) დონეზე; გააცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს: უჯრედთა ძირითადი სახეების, მათი ფუნქციების ცოცხალი სისტემების სტრუქტურული და ფუნქციური თავისებურებების შესაბამისობას. ასევე, სხვადასხვა ტიპის ეკოსისტემებში მიმდინარე პროცესებს და ცოცხალი სისტემების თვითმარეგულირებელ მექანიზმებს. შეძლებს მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკასა და კვლევით საქმიანობაში; შესაბამისი კვლევითი სამუშაოების დაგეგმვას წინასწარი მითითების შესაბამისად, ანალიზს, კრიტიკულ შეფასებას გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის პრინციპებით. ასევე, ბიოლოგიური მოვლენების კვლევის, ანალიზის, განზოგადებისა და ბუნების დაცვის საქმეში. ჩამოუყალიბდება კონკრეტული ბიოლოგიური პროექტებისა და ამოცანების გადაწყვეტის უნარი; შეძლებს სტუდენტური პროექტებისა და რეფერატების მომზადებას, დემონსტრირებას, პრეზენტაციას.
შეფასების წესი	საბოლოო შეფასება - 100 ქულა. ცალკეულ სასწავლო კურსში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით A, B, C, D, E, FX, F. ECTS-ის შეფასება ქულა A – ფრიადი 91-100 B – ძალიან კარგი 81-90 C – კარგი 71-80 D – დამაკმაყოფილებელი 61-70 E – საკმარისი 51-60 FX – ვერ ჩააბარა 41-50 F – ჩაიჭრა 0-40

საკონტაქტო პირი	<p>პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>ქეთევან დოლიძე, პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი მობ. ტელეფონი: (+995) 577783505 e-mail: dolidze.ketevan@bsu.edu.ge</p> <p>მარინა კორიძე, პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი მობ. ტელეფონი: (+995) 77502200 e-mail: koridze.marina@bsu.edu.ge</p>
------------------------	--